



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49. 49230558

თარიღი:24/02/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 29**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1530 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკ.კოდი N29.14.34.322) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი დუგლადის 2023 წლის 16 იანვრის N5/1862 მიმართვა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 იანვრის N48-4823017162 წერილი, რომლებშიც დასმულია საკითხი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1530 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკ.კოდი N29.14.34.322) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით, რათა ხელი შეეწყოს კიდევ ერთი მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლების შესაბამისად:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 1530 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკ.კოდი N29.14.34.322), შემდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.
2. სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე განახორციელოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

